იმერეთი

ყოველდღიური გაზეთი

ფასი:
წლიურათ . . . . . . 7 მანეთი
ნახევარი წლით . . . . 4 მანეთი
თვიურათ . . . . . . 3 აბაზი
ცალკე ნუმრის ერთი შაური.

წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ: ხელის მოწერის დროს 3 მანეთი და დანარჩენი [illegible] ნაწ-ნაწილათ. საზღვარგარეთ წლიურათ 14 მ., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 6 აბაზი.

№ 45
წელიწადი [illegible]
— 1913 —
სამშაბათი, 26 თებერვ.

რედაქცია მოთავსებულია ქუთაისში, ივანოვის ქუჩაზე, ვ. ი. ჭილაძის სახლში. (ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა საბჭოს პირდაპირ).

ტელეფონი № 149.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვეჯეულობისა და ჭურჭლეულობის მაღაზია ქ. ქუთაისში

ფ. ს. ფილიპოვისა

ალექსანდრეს ქუჩაზე

ხსნა სპეციალური განყოფილება ელექტრონის მოსაწყობი მასალების და არმატურებისა, რაც ყოველთვის უმაღლესი ხარისხის მოგვეპოვება ცნობილი ფირმებისაგან. აგრეთვე ვკისრულობ ლის ავეჯით და ელექტრონის გასანათებელი მავთულების მოწყობას; ყოველთვის მოგვეპოვება მსურველთათვის სპეციალისტი მონტერები. ჩვენი მასალების ხარისხის სიკეთეს ჩვენ ვკისრულობთ. ფასები ყოველი კონკურენციის გარეშეა.

პატივის მცემელი ფ. ს. ფილიპოვი.

მიიღება ხელისმოწერა 1913 წლისთვის ყოველდღიურ გაზეთზე.

წელიწადი მეორე

1913 იმერეთი

გაზეთის ფასი:
ერთი წლით . . 7 მანეთი,
ნახევარი წლით . . 4 მანეთი,
ერთი თვით . . 4 აბაზი
და ცალკე ნუმრის . . 1 შაური.

სამგლოვიარო განცხადების თითო დაბეჭდვა ყველასათვის — სამ მანეთად.

განცხადების ფასი: პირველ გვერდზე პეტიტის ანგარიშით პწკარი ღირს 3 შაურათ, მეოთხეზე — ორ შაურათ, შიგნით გვერდზე მორიგებით და გარეშე ცნობები ჩვეულებრივი ასოებით დაბეჭდილი თითო პწკარი თითო აბაზათ. შრომის მძებართა განცხადება — ნახევარ ფასათ.

გაზეთის დასაკვეთი ფასი და აგრეთვე სხვა ანგარიშებიც უსათუოდ ამ მისამართით უნდა გამოიგზავნოს: Кутаисъ, редакція и контора газеты „ИМЕРЕТИ“, Василію М. Челидзе.

სხვანაირათ გამოგზავნილ ფულსა ანგარიშს რედაქცია თავის [illegible]

ქვრივი მატრონა ივანეს ასული ნაკაიძისა, შვილები დესპინე რატიანისა და ალექსი ნაკაიძე, სიძე ამისი ილია ივ. რატიანი გულითადი მწუხარებით აუწყებენ

ივლიანე დიმიტრის ძე ნაკაიძის

გარდაცვალებას, რომლის გამოსვენება დანიშნულია ხუთშაბათს, 28 თებერვალს, ნაშუადღევის 3 საათ. ბალახვანის ქ., წერეთლის სახლი, სახაზინო პალატის პირდაპირ. დაკრძალვა საფიჩხიის სასაფლაოზე. პანაშვიდი ყოველდღე საღამოს 5 საათზე.

აჭიროა ჭიათურის სამრეწველო საავადმყოფოსათვის საფერშლო სკოლაში კურს-დამთავრებული და მასთან სპეციალურათ მასსაჟის მცოდნე

გამოცდილი ფერშალი.

ჯამაგირი ბინის ქირიანათ ექნება თვეში 65 მანეთი,

ყოველ ხუთი წლის სამსახურისათვის ემატება 20% ჯამაგირისა,

შეუძლია ჩაირიცხოს წევრათ

წველთა საბჭოსთან დაარსებულ მოსამსახურეთათვის შემნახველ-დამხმარე-გამსესხებელ კასსისა.

ხოვნა და საჭირო დოკუმენტები უნდა გაეგზავნოს ჭიათურაში ავადმყოფოს გამგეს ექიმს ს. დ. ჯაფარიძეს ამა წლის 10 მარტამდის.

ქ. ქუთაისში

ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი

საბუღალტერო კურსები

გ. გ. გიგინეიშვილისა.

ნვრიდან იხსნება კურსებზე მეორე განყოფილება. მსმენელები მიიღებიან ოთხი ლასის მოწმობით (გიმნაზია, საქალაქო თუ სასულიერო სასწავლებელი). კურსი ათი თვისაა. სწავლის ფული ასი მან.

თხოვნები მიიღება კურსების კანცელარიაში (თფილისის ქუჩა).

სახლის ამშენებელთა საყურადღებოთ

ქალაქის ეკლარის ქვის სატეხის მოიჯარადრენი ტეხნიკი დ. პ. წულეისკირი და ი. დ. ბოლქვაძე ამით აუწყებენ პატივცემულ საზოგადოებას, რომ მათ აიღეს ეს ქალაქის ქვის სატეხი და შეუძლიათ საზოგადოებას მიაწოდონ სამნაირი ქვა: თეთრი, ლურჯი და წითელი ყოველივე ზომის. ეს ქვა განთქმულია თავის გამძლეობით და სილამაზით და თანაც სამუშევრათ იოლია. აგრეთვე აქვსთ ქვები ქვაფენილებისათვის ყოველივე ზომის, მსურველთ შეუძლიათ მიმართონ მათ კანტორაში: პუშკინის ქუჩა, ქალაქის თვირთმათველობის ქვეშ.



იულიუს სარეკ

მოიჯარადრე ქუთ. ქალ. ქუჩ. ნავთით განათებისა

და

მხოლოდ ერთი წარმო[illegible] ხანგძლივ ფარნებისა

იგა ი. ნ.

უფრთხილდით მიმსგავსებას

მისამართი ალექსანდრეს ქუჩა, თევდორაძის სახლი ტელეფონი № 18.

ექიმი ი. ჩარექოვი.

იღებს მხოლოდ და განსაკუთრებით კანის, ვენერიულსა და სიფილისიან ავათმყოფებს. დილის 12 საათ. 2-დე; საღამოს 5—7.

ილია ჭავჭავაძის ქ, აბულაძის შესახვევი ითხელიანის სახლი.

ექიმი ვ. ი. ფეშინი ქირურგიული და საშარდე სნეულება ყოველდღე 12—2 და 4—6 საათამდი. გოშპიტლის ქ. გვახარიას სახლი.

მასაჟით სამკურნალო კაბინეტი

მ. ბალანჩივაძისა

ვკურნავ მასაჟით, საექიმო ვარჯიშობით, კანქვეშ შესაშხაპუნებელი წამლით და ვსპობ სახეზე: მუწუკებს, ნაოჭებს, ჭორფლს, მეტ სიწითლეს, ნაყვავილებსა და სახის ყოველგვარ ავათმყოფობას.

გენერლის ქუჩა ექიმის ს. ლორთქიფანიძის სახლი.

დღიური.

ადრიანოპოლში ყინვებისა და სიცივების გამო ბრძოლა დროებით შეწყდა.

— ბულგარეთის საკანონმდებლო დაწესებულებაში მაკედონელთა ძალმომრეობის გამო ბულგარელ სოციალისტს სავოზოვს შეკითხვა შეაქვს.

— მოკავშირე სახელმწიფოები თხოულობენ ადრიანოპოლის, სკუტარის, იანინის, მიდია-როდოსტოს, გალიპოლის და ეგეის კუნძულების დათმობას.

— რუმინია-ბულგარეთის უთანხმოებაზე მოსალაპარაკებლათ სხვადასხვა სახელმწიფოების წარმომადგენლები პეტერბურგში მოიყრიან თავს.

— ხარკოვში ჩამოახრჩვეს 107 მკვლელობის ჩამდენი ყაჩაღი ოსადჩი.

— 17 თებერვალს ხარკოვში სრულიად რუსეთის ბუღალტერთა კრება გაიხსნა. კრებას 200 კაცი დაესწრო.

— იანინი დაიპყრეს ბერძნებმა, ამათ 32 ათასიანი ჯარი ესად-ფაშის მეთაურობით დანებდა.

— პარიზის პალატამ საფრანგეთ-ესპანიის კონვენცია მოიწონა.

— იაკოგამაში 800 და ტოკიოში 400 სახლი დაიწვა.

— დიოღოხის სახელზე საბერძნეთმა ძეგლის აგება განიზრახა.

— უნგრეთში გაცხარებული პარლამენტალური ბრძოლაა. ხალხი ქუჩაში გამოდის. ოპოზიციის დეპუტატები მთავრობის მოქმედებას კიცხავენ და პარლამენტის სხდომა დემონსტრატიულათ დატოვეს. მოელიან გაფიცვას. მოითხოვენ საარჩევნო უფლების შესახებ კანონპროექტის შეცვლის.

— ოსმალეთს მცირე აზიელთა ჯარი ევროპაში გადაყავს.

— ოსმალეთი რუსეთის საზღვრებზე ჯარის რიცხვს აძლიერებს.

— რუსეთთან შეთანხმების გამო ავსტრია 30,000 ჯარისკაცს სამსახურიდან ათავისუფლებს.

ФАБРИКИ
А. ЭНФІАДЖІАНЦА
ПАПИРОСЫ
„ИНТЕЛЛИГЕНТНЫЯ“
ЦѢНА
25шт. 15к.
10ш. 6к. 100ш. 60к.

ПАПИРОСЫ
ЭКСТРА
15шт. 6 коп.
ФАБРИКИ
А. ЭНФІАДЖІАНЦА

ПАПИРОСЫ

ГОЛУБКА 10 шт. 3 коп.

ФАБРИКИ А. ЭНФІАДЖІАНЦА

ქალაქის თავი ა. ი. ხატისოვი და ხმოსანი სულაბერიძე.

უბრალო, უცნობმა, უსახელო ხმოსანმა სულაბერიძემ გაბედა და ფარდა ახადა ქალაქის მოურავს. ა. ი. ხატისოვი, რომელსაც არ იყო ჩვეული მისი თვითნებობის შევიწროებას, ე. ი. კონტროლსა და კრიტიკას, იუპიტერივით გასწყრა, მის რისხვას საზღვარი აღარ აქვს! სტექს და ქუხს, ცეცხლის შადრევანს აფრქვევს პირიდან!

მოუწოდა ხმოსნებს და მიანდო სულაბერიძის გასამართლება. ბრალმდებლის როლი თვითონ იკისრა და კარგათაც შეასრულა: არ უღალატა თურმე ჩვეულებრივმა მჭერმეტყველებამ.

მაგრამ, როდესაც სულაბერიძემ მოითხოვა, რომ ბრალმდებელს მოკლეთ და სისწორით აღენიშნა ბრალდება, ხატისოვის ნამჭერმეტყველევი გაქრა, ვითარცა საპნის ბუშტები.

უმთავრესი ბრალდება ის იყო, ვითომ სულაბერიძეს ორასი მანეთი აეღოს ქრთამათ ქალაქის სასაკლაოს ამშენებლის, ოგანჯანოვისაგან.

ეს ბრალდება ბევრი მხრით არის საყურადღებო.

ჯერ ერთი, დაუსაბუთებელია, რადგან დამყარებულია მარტო ოგანჯანოვის მოწმობაზე. და განა დაეჯერება ოგანჯანოვს, რომლის ნამოქმედარიც გამოამზეურა სულაბერიძემ, როგორც რევიზორმა?!

მეორე, ქალაქის თავმა, რომ განაცხადა, — მიკვირს რომ არ შერცხვა, — ჩემმა ტეხნიკამ ოგანჯანოვმა მითხრა, სულაბერიძეს ორასი მანეთი მივეცი ქრთამათო, ორში ერთი უნდა ვიფიქროთ: ან ტყუილი სთქვა, ცილი დასწამა ხმოსანს ოგანჯანოვმა; ან ნამდვილათ მიართვა ქრთამი. და, ცხადია, ორივე შემთხვევაში უნდა დაეთხოვა ხატისოვს თავისი მოსამსახურე. ამას მოითხოვდა სიმართლე, სინიდისი და ქალაქის სარგებლობა!

ოგანჯანოვი კი არხეინათ ბძანდება თავის ადგილზე!

რას მივაწეროთ, რომ ქალაქის თავი ითმენს თავისი მოსამსახურის ასეთ საქციელს?! თუ კი ისე გააგულისა სულაბერიძის მიერ ქრთამის აღებამ, რომ მთლად დაურღვია სულის წონასწორობა, რატომ ამგვარათვე არ ააშფოთა ოგანჯანოვის მიერ ქრთამის მიცემამ?!

აქედან ცხადათ ჩანს, რომ ხატისოვის

შფოთვა არ არის გულწრფელი! სიყალბეა მის შადრევანისებურ მჭერმეტყველობაში!

მაგრამ რამ გააწიწმატა ასე ბ. ა. ი. ხატისოვი!?

აი რამ.

1912 წლის 9 ივლისს სარევიზიო კომისიამ, რომლის წევრათაც იყო სულაბერიძე, დაათვალიერა ქალაქის სასაკლაო და აღმოაჩინა შემდეგი ცოდვები:

1) ქვა, შეძენილი ბირჟის შენობის საფუძვლისთვის, ყოფილა უვარგისი.

2) აგური, შეძენილი სხვადასხვა შენობისათვის, არ ყოფილა კარგათ გამომწვარი და წმინდა.

3) გასაცივებელი განყოფილებანიც ვერ ყოფილა მოწყობილი რიგიანათ.

4) 12 მაისს 1910 წელს გამგეობამ დაადგინა, გაცემულიყო სამიწო მუშაობა საჯარო ვაჭრობით 22 მაისისათვის იმავე წლისა და ეს დადგენილება გამოცხადდა გაზეთებში მხოლოდ 14-ს, ამგვარათ საჯარო ვაჭრობამდი დარჩა მარტო 8 დღე, ჩვეულებრივათ კი ამგვარი ვაჭრობა ცხადდება ორი თვით ადრე.

22 მაისს შეეკვრენ არუთინოვის, მაკაროვის და ტერ-ნაკალოვის ამხანაგობას.

10 ოკტომბერს 1910 წელს ა. ი. ხატისოვი და ორი ხმოსანი ამოწმებენ, სამიწო მუშაობა შესრულებულია რიგიანათ, თუმცა, ოკტომბერში 1910 წლისა, აგრეთვე მაისში 1911 წლისა ქვისაგან აშენებდენ შენობათ და შეუძლებელი იყო შემოწმება და დაფასება სისწორით სამიწო მუშაობისა.

მოიჯარადრეთ ეძლეოდათ ფული წესიერათ. ჩვეულებრივათ მათი მოთხოვნილების სამართლიანობას ამოწმებდა ოგანჯანოვი და ადასტურებდა აგრეთვე თავისი ხელისმოწერით ქალაქის თავი.

მოიჯარადრეებმა ვერ დაასრულეს მუშაობა აღნიშნულ დროს, მაგრამ მათთვის არავის მოუთხოვია პასუხი პირობის დარღვევის გამო.

აქ ერთი რამ არის ცხადი და ნათელი: ამ თავის მომჭრელი რევიზიისთვის ქრთამს არავის მისცემდა ოგანჯანოვი.

და საგულისხმო კიდევ ის არის, რომ ჩრდილი ეფარება ა. ი. ხატისოვის მოქმედებასაც.

და, უნდა ვიფიქროთ, რომ სწორეთ აქ მარხია ძაღლის კუდიცა და ხატისოვის გულის წყრომაც!

მაგრამ გულისწყრომასაც უნდა ქონდეს საზღვარი.

არც ხატისოვს ქონდა ნება მიეთვისებია ბრალმდებლის უფლება და არც ხმოსნებს გამხდარიყვენ მოსამართლეებათ. ქალაქის საბჭო არ არის სასამართლო და მისი საქმე არ არის ხმოსნის გასამართლება. თუ სულაბერიძემ დააშავა რამე, პროკურორისთვის უნდა ჩაებარებიათ ოქმი მისი დანაშაულობისა.

მაგრამ საქმეც ის არის, რომ ვერაფერი ნახეს საპროკურორო და შინაური მეგობრების დახმარებით მოინდომეს სულაბერიძის თავიდან მოშორება.

ამისთვის საჭირო იყო ჯერ საბჭოს დასტური და შემდეგ კი...

მაგრამ სჯობს შევჩერდეთ ამჟამათ აქ. მალე გავიგებთ ამ სამწუხარო ამბის შედეგსაც. და ცხადათ დავინახავთ ყველაფერს! **ურო.**

ახალი ამბავი.

ქალაქის გამგეობას წერილი მოსვლია ბაქოდან ინჟინერის ი. ი. დადიანისაგან, რომელშიც სწერია: „ეს არის გაზ. „ბაქო“-ში წავიკითხე გაზ. „იმერეთი“-დან ამოკრეფილი ცნობა შემდეგი შინაარსის: „ქუთაისის ქალაქის თვითმართველობის ყოყმანი შესახებ იმისა, ოჯახური საშუალებით გააკეთოს წყალსადენი, თუ კონცესიონურით, გათავდა: ამ დღეებში საბოლოოდ გადაწყდა, რომ შეწყდეს მოლაპარაკება ბაქოელ კონცესიონერებთან, ინჟინერ, თავ. ი. ი. დადიანთან და ბ. კანცელთან, და წყალსადენი თვითონ ქალაქმა გააკეთოს. ქალაქის მოურავს მიენდო ისარგებლოს მომავალ დღესასწაულებზე პეტერბურგში ყოფნით და ეცადოს, რომ მალე დამტკიცებულ იქნეს ქალაქის წყალსადენის პროექტი“.

თავ. დადიანი იმაზრისაა; რომ ქალაქის თვითმართველობას უფლება არ ქონდა ამგვარი დადგენილება მოეხდინა, თუმცა თვითონაც არ სჯერა, რომ ასეთი დადგენილება მართლა მომხდარიყო. ის სთხოვს ქალაქის გამგეობას დაუყონებლივ აცნობოს, თუ რამდენად მართალია გაზეთში მოთავსებული ცნობა. „თუ ის, სამწუხაროთ, მართალიაო“, სწერს თავ. დადიანი, „მე ღრმად შეწუხებული ვარ იმის გამო, რომ იძულებული ვხდები ნება დავრთო ჩემს ამხანაგს (ე. ი. კანცელს) —საჩივარი აღძრას ჩემი სამშობლო ქალაქის წინააღმდეგ; მე კი ეს არა მსურდა ქალაქ ქუთაისისათვის მაგრამ, თუ რამე ამის მსგავსი მოხდება, ზნეობრივი პასუხისმგებლობა კისრად აწევება იმათა „ვინც ქალაქს ასეთ რჩევებს აძლევდაო“.

ამ წერილს პასუხად ქალაქის გამგეობამ აცნობა, რომ ქალაქის თვითმართველობას ასეთი დადგენილება არ მიუღია და არც გაზ. „იმერეთში“ ყოფილა რამე ამის მსგავსიო. მართალია, ხსენებული გაზეთის 12 თებერვლის ნომერში მოთავსებული იყო შენიშვნა ქუთაისის წყალსადენის შესახებ, მაგრამ იქ ნათქვამი იყო მხოლოდ ის, რომ „ქალაქის მოურავს ი. მ. ჩიქოვანს მიენდოს ისარგებლოს პეტერბურგში ყოფნით და მიიღოს ზომები, რომ ქალაქის საბჭოს მიერ შემუშავებული წყალსადენის პირობის პროექტი, რაც შეიძლება, მალე იქნეს დამტკიცებული“. ასეთი მინდობილება, მართალია მიეცა ქალაქის მოურავს, თანახმად საფინანსო და საამშენებლო კომისიების 1 თებერვლის დადგენილებისა, მაგრამ, ასეთი მინდობილების საწინააღმდეგო, უთუოდ, არც თქვენ გექნებათ რამეო.

წერილთან ერთად ქალაქის გამგეობამ გაუგზავნა თავ. დადიანს საფინანსო და საამშენებლო კომისიების 1 თებერვლის სხდომის ოქმის პირი.

◆ ადგილობრივ მეაფთიაქეს პროვიზორს რელიგიონს უჩივლია ქალაქის გამგეობისათვის ის ზარალი, რომელიც ვითომც უნდა მიეყენებიოს მისი აფთიაქისათვის ქალაქის აფთიაქის ფილიალური განყოფილების წყალგაღმა ნაწილში გახსნას. ქალაქის აფთიაქის ფილიალური განყოფილება გაიხსნა ადგილობრივი საგუბერნიო სამართველოს ნებართვით. საგუბერნიო სამართველოს დადგენილება განსაჩივრა პროვიზორმა რელიგიონმა უმართ. სენატში. უკანასკნელის გაჩინება საგუბერნიო სამართველოს გაუქმების შესახებ ეცნობა ქალაქს ფილიალური განყოფილების გახსნიდან ორ წელს შემდეგაი, ამ ორი წლის ზარალს უჩივა ქალაქს ბ-ნი რელიგიონი, სულ 8360 მან. 27 კაპ.

◆ ბ. გუბერნატორმა დაამტკიცა ხორცის ახალი ნიხრი, რომლის ძალით უცხო ჯიშის საქონლის პირველი ხარისხის ხორცი უნდა გაიყიდოს 14 კაპ., მეორესი 13 კაპ; ადგილობრივ საქონლის პირველი ხარისხის—12 კაპ. მეორესი—11 კ. ძუძუმწოვარი ხბოს ხორცი—სამი შაურათ, მოზრდილი ხბოს და ცხვრის ხორცი—14 კაპ., ღორის ხორცი—12 კაპ., კამეჩის—9 კაპ. და სუკი გირვანქა 21 კაპ.

◆ გასულ შაბათს მოხდა ქუთაისის ნაფიც ვექილთა და მათი თანაშემწეების კრება, რომელმაც იქონია მსჯელობა ქუთაისში იურიდიული საზოგადოების დაარსების, ვლ. ალექსი-მესხიშვილის იუბილეში მონაწილეობის მიღებისა და პატივცემული მოსე ქიქოძის 35 წლის სამსახურის აღნიშვნის შესახებ.

კრებამ სამი კომისია აირჩია. პირველს დაევალა რით და როგორ სცენ პატივი მ. ქიქოძეს, მეორე კომისია უნდა დაესწროს ვლ. ალექსი-მესხიშვილის იუბილეს, როგორც ვექილთა წარმომადგენელი, ხოლო მესამე კომისიამ უნდა შეიმუშაოს გეგმა იურიდიული საზოგადოების მოწყობისა. ამ უკანასკნელ კომისიაში მოხვდენ: მ. ქიქოძე, ღ. კვირკელია, ღ. ხელთუფლიშვილი. ალ. საყვარელიძე, ან. გელოვანი და გრ. გიორგაძე.

◆ ჩვენი გაზეთის მე 42 ნუმერში მოყვანილი იყო ცნობა, რომ ციხეში ჩასვეს სათავად-აზნაურო გიმნაზიის ნამოწაფარი პოლიკარპე ნიშნიანიძე, რომელსაც დირექტორის გალახვისათვის ერთი წლის ციხე აქვს გადაწყვეტილიო. სათავად-აზნაურო ქართული გიმნაზია შეცთომით არის ნახსენები ამამბავში. ნიშნიანიძე ქუთ. კლასიკურ გიმნაზიაში იყო და ბრალათ ედებოდა იქაური ყოფილი მასწავლებლის შჩიგუროვის მოქმედებით შეურაცხყოფა.

◆ ბაგრატის ტაძრის ნანგრევების ირგვლივ გალავანში დახვავებულ მიწას სთხრიან კარგა ხანია და შიგ აღმოაჩინეს ბევრი ქვა ტაძარზე ნაშენები შესანიშნავი ჩუქურთმებით, ხელოვნურათ ამოჭრილი კარნიზებით, იშვიათი ხელობის დიდს ქვაზე ამოჭრილი ჯვარი და სხვ. ამ ტაძრის ირგვლივ კედელი უკვე დამთავრებულია, მაგრამ სამუშაო ჯერ კიდევ ბევრია, დიდძალ მიწას უნდა აყრა, რომ შიგ ჩაფლული იშვიათი ნაჩუქურთმევი ქვები ამოაჩინონ და დაიცვან, თავი მოუყარონ ერთად. კომიტეტი მიმართავს საზოგადოებას, მიიღოს წვლილი ამ საქმისთვის.

◆ მანიფესტით სასჯელი ეპატიება, სხვათა შორის, **ნოე ჟორდანიას**, რომელსაც 3 წლით ციხე ქონდა გადაწყვეტილი და ი. კვიცარიძეს, რომელსაც სალიტერატურო საქმისათვის სასჯელი მოელოდა.

◆ ქუთაისის მომხმარებელი საზოგადოების „პროგრესის“ გამგეობაში რამდენსამე პირს სასადილოს გახსნის შესახებ წერილობითი თხოვნა წარუდგენიათ. გამგეობის წევრებს ამ საგნის შესახებ კრება ქონიათ და სასადილოს გახსნა საჭიროთ უცვნიათ. გამგეობას განზრახვა აქვს ამ მოკლე ხანში საზოგადო კრება მოიწვიოს და სასადილოს შესახებ ვრცელი მოხსენება წაიკითხოს.

◆ თფილისის რუსული საოპერო დასი ქუთაისში 6 წარმოდგენას გამართავს. დასში, სხვათა შორის, ივ. სარაჯიშვილიც არის. პირველი ოპერა 4 მარტს გაიმართება.

◆ მარტის 1-ს შავი-ქვის მრეწველთა საბჭოს მორიგი სხდომა ღ. ჭიათურაში იქნება.

◆ იანვრის განმავლობაში ბათომიდან და ფოთიდან გატანილია 5.871,990 ფ. შავი-ქვა.

◆ მოსკოვის გაზეთის „რუსკია ვედომოსტის“ 20 თებერვლის ნუმერში კავკასიაში ბატონყმობის ნაშთების მოსპობის შესახებ მეთაური მოთავსებული. მეთაურის ავტორი ვრცლად ეხება გლეხების განთავისუფლების საქმეს და ამბობს თფილისის გუბერნიაში გლეხთა $^7/_8$ მამული დაუხსნელი ქონდა, ხოლო ქუთაისისაში კი $^3/_4$-ო. გაზეთი კიცხავს იმ უსამართლობას, რომლის წყალობითაც ეს სამარცხვინო ინსტიტუტი დღემდი არსებობდა და აღნიშნავს, რომ გლეხებს სანადელო ფული სამჯერ მეტათ ექნებათ გადახდილიო.

თფილისი.

მანიფესტის ძალით სასჯელი ეპატივა გაზ. „სინათლი“-ს რედაქტორს ი. პ. როსტომაშვილს, რომელსაც ერთი წლის ციხე ქონდა გადაწყვეტილი.

◆ ქართული კულტურის მოყვარულის საზოგადოების უკანასკნელმა კრებამ დაადგინა: საზოგადოების საპატიო წევრად აირჩიოს მგოსანი ვაჟა-ფშაველა, რომელსაც წელს სამწერლო მოღვაწეობის 35 წლის თავი შეუსრულდა, გამართოს მოკლე ხანში საზოგადოების საჯარო კრება, რომელზედაც უნდა წაიკითხონ რეფერატები მგოსნის პოეზიისა და პიროვნების შესახებ, აღებული ფულით გამოსცეს ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებნი და ამ აზრის განხორციელება მიანდოს საზოგადოების საბჭოს, რომელიც თავის მხრით მიიწვევს მწერალს განდეგილს, სახალხო სახლის რეჟისორს ა. წუწუნავას და სხვებს.

◆ ახალი კლუბის წევრთა წლიური კრება 25 თებერვლისათვის არის დანიშნული, საღამოს 8 საათზე. კრება განიხილავს კლუბის 1912 წლის ანგარიშს და 1913 წლის ხარჯთაღრიცხვას და აირჩევს მამასახლისებსა და სარევიზიო კომისიის წევრებს. როგორც ანგარიშიდან სჩანს, კლუბს 1912 წელს ქონია შემოსავალი 139,644 მ. 28 კ. შემოსავლის უმთავრესი წყაროები ყოფილა: ბანქო, რომელსაც მიუცია შემოსავალი 48,343 მ., ლოტო (28714 მ. 27 კ.), სტუმართა გადასახადი (25,213 მ. 13 შ.), ჯარიმები (23,440 მ. 2 აბ.). ხარჯი ყოფილა 108,850 მ. 88 კ., მომეტებული ფული დახარჯულა: სამუსიკო ნაწილზე—26,389 მ. 14 შ. კლუბის შენობის ქირაზე—18,071 მ. 14 შ., ბანქოს ქაღალდის ყიდვაზე—14,389 მ. 22 კ., სააფხულო სადგომის შეკეთებაზე—6,396 მ. 79 კ. ნაღდი მოგება დარჩენილა 30,793 მ. 2 აბ.

◆ ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოების საბჭოს წევრებათ აირჩიეს ნ. ნ. ჩიგოგიძე და მ. ლ. კავსაძე ნაცვლად ს. გაბუნიასი და წითლანაძისა, რომელთაც თანამდებობას თავი დაანებეს.

მოწერილი ამბავი

ს. ქვედა იდუმი (ზემო იმერეთი.)

ჩვენი სოფელი ყოველგვარ კულტურულ განმანათლებელ დაწესებულებას მოკლებულია. გარდა სამრევლო შკოლისა აქ საზოგადო დაწესებულება არაფერი არსებობს. ამ შკოლაშიც მასწავლებლის წყალობით რუსულის სწავლება პირველი წლის პირველი ნახევრიდან იწყება.

ს. გორბეული (ზემო იმერეთი).

აქ არსებობს იაკობ გოგებაშვილის სახელობაზე დაარსებული სამკითხველო. სამკითხველოს. შემოსწირა წ. კ. საზოგადოების მთავარმა განყოფილებამ 10 მანეთის წიგნები, ნაკადულის რედაქციამ—10 მანეთის, მ. გაჩეჩილაძემ 12 მანეთის, ვ. ნოზაძემ 12 მან. ნახევრის, ი. როსტომაშვილმა 12 მანეთის, ს. მერკვილაძემ 8 მანეთის, ტს ჯაფარიძემ 7 მანეთის, ქ-ნი ო. კვიჟინაძისამ 4 მანეთის, ს. გიორგაძემ 3 მანეთის, სიტყვა კაზმულ მწერლების საზოგადოებამ 1 მან. ნახევრისა და ანასტასია წერეთლისამ 9 შაურისა. ყველას, სამკითხველოს გამგეობა ულრმეს მადლობას სწირავს.

ს. მანდაეთი (ზემო იმერეთი).

ს. ვაშლევში ცხენით მიმავალს გლეხს გ. გულაძეს გზაზე ქარბუქი დასწრებია. გ. გულაძე ქარბუქს დაუხრჩვია და მისი გვამი მეორე დღეს უნახავთ სოფლელებს. ზამთრობით გზები ისე იკვრება, რომ მიმოსვლა ყოვლად შეუძლებელი ხდება.

სალხინოსხერი (გურია).

გურიის სხვა სოფლებთან ერთად სწავლა განათლების მხრით ამ სოფელმაც დიდი ნაბიჯი გადადგა. აქ არსებობს ერთ კლასიანი სავაჟო და საქალებო შკოლა. ამ სოფელში ინტელიგენტური პირებიც ბევრია. არსებობს აქ სამკითხველო და ახლა ფოშტა-ტელეგრაფის განყოფილების დაარსებასაც ეპირებიან.

ჭიათურა (ზემო იმერეთი).

17 თებერვალს ადგილობრივ თეატრში „იუდასამბორი“ წარმოადგინეს. პიესა კარგათ წარმოადგინეს, ყველა კარგათ თამაშობდა. წარმოადგინეს აკაკის „ბუტიაბაც“. ხალხი წარმოდგენას ბლომათ დაესწრო. სამი თვეა რაც აქ რეჟისორობს და ჩარკვიანი. მაგრამ დასს ხელს უშლის ის გარემოება, რომ მთავარი როლების ამსრულებელი ქალი მსახიობი არ ყავს.

სამშაბათელა.

ეშმაკსა და მის მაგვარ უკუღმართებს.

„ეშმაკის“ უნარიანი წერა და სისხარტე მისი კალმისა მე აღმინიშნავს ხოლმე ადრე, მარა კვირის „მერცხალის“ „პატარა ფელეტონმა“-კი, რომელსაც ეშმაკი აწერს ხელს, გული გამიტეხა:—არც უნარი, არც ფხა, არც სიმახვილე, არც სინამდვილე... ამას კიდევ ვინ სჩივა—სუნიც ცუდი უდის ამ უგძელო „პატარა ფელეტონს“, სადაც ბევრი ბ დიდი უხერხული სისულელეებია ჩაჩხირული. უხერხულია ზოგი გვარების მოხსენებაც „იმერეთის“ თანაშრომლებისა. ეს ერთგვარი უმთავრესი ეთიკაა, რის გამჟღავნება არ მიეტევება პრესას! დიახ, პრესას. მაგრამ სულ მავიწყდება, რომ ჩვენ საქმე პრესასთან კი არა გვაქვს, არამედ „მერცხალთან“, რომელსაც მართებულ პრესასთან არავითარი კავშირი არა აქვს. საწყალს, ზამთრისაგან დაზრულს ტკბილ მოღუღუნე ფრინველს, ამ „ღვთის ჩიტს“ ირგვლივ მაიმუნები, ეშმაკები და ყვავ-ყორნები შემოხვევიან და აწამებენ, აჭორებენ, ყვანჩალობენ...

შესაძლებელია კამათი იმისთანა ხალხთან, ვინც შენს ნათქვამს გადაამახინჯებს და როგორც თვით მოუხდება მერე ისე გამოიყენებს?! ვაი, საწყალი დემოკრატია თქვენს ხელში!

ეშმაკს „საზოგადო სახლზე“ აქვს მასალათი და სთხზავს, რომ „იმერეთმა“ დემოკრატიულ ნაწილს დაულოცა ეს სახლიო. მერე განა ეს დემოკრატიული ნაწილი მცხოვრებლებისა არ იყო ბალახვანის, ჭავჭავაძის, ქვარიანების უბნებიდან რო მოვიდენ ჩვენთან და გვთხოვეს—გვიშველეთ, ჩვენს უბანში ამისთანა „სახლს“ გვიარსებენ, გვიშუამდგომლეთო, გაზეთში ჩაგვიგდეთ ეს ამბავიო და სხვა... ეს იყო ჩვენს შენიშვნებში, მარა ეშმაკმა გადააუკუღმართა ეს ცნობა. განაპირას რო ვამბობდით, ეს ის იყო, რომ ქალაქს გარეთ, შორს, დაუსახლებელს ადგილს დაეარსებიათ ასეთი „სახლი“, თვარა დემოკრატიას ამ დაგვარ დაწესებულებას არ ვუსურვებდით, არც დაულოცავდით.

ვაი, საწყალი ჩვენო დემოკრატია თქვენს ხელში! კი მარა რაც ამდაგვარი გამხრწნელი დაწესებულება [illegible] თქვენ მის სულსა და გულში და ამას კიდევ არ დავულოცავთ.

სამშაბათელა.

დეპეშა.

პეტერბურგის დეპ. სააგენტოსაგან.

ომი ბალკანეთზე.

ცეტინიე. ბერძნების მიერ იანინის აღე ბის გამო მანიფესტაციები მოხდა სერბ ისა, ბულგარეთის და საბერძნეთის მის ის შენობის წინ.

სალონიკი. იანინის აღება მეფემ დღე გაიგო. საბერძნეთის დედოფალმა პეტ ბურგის დეპეშათა სააგენტოს კორესპონ დენტს მოლოცვის გამო უთხრა: ორი დი დი ამბავი რუსეთის დინასტიის დღესა წაული და იანინას აღება ერთ დღე მოხდაო.

ათინა. იანინის დათმობაზე და ქა ქის გუბერნატორათ გენერალ სუ დანიშვნის შესახებ ხელმოწერილი ძალაში შევიდა. გუბერნატორის ბინა საბერძნეთის დროშა აღმართეს, დიოდო მა სწრაფი განკარგულება მოახდინა, რო ქალაქში სანოვაგე შემოიტანონ და ულ მცხოვრებთათვის. როგორც გაუგ იანინის შიდამოებში ოსმალებს 108 ზა ბაზანი ქონიათ, მათ რიცხვში 35 სა ყოთი.

სტამბოლი. „ერთობისა და პროგრ კომიტეტმა გადასწყვიტა ომი განაგრძ

სალონიკი. სერბიის მთავრობის ცნ ნით ბერძნები სანჯიოვანი დიმეღე 28000 კაციან სერბიის დივიზიას გა იყვანენ.

სტამბოლი. რომანოვების 300 წ. ბილეს გამო ჯავშნიან გემ „როსტ ლავ“ზე მეზღვაურებმა წარმოდგენა მართეს, რომელსაც დაესწრენ უცხ ელი გემების უფროსნი და რუსეთის ლონიის წევრნი.

ათინა. დიოდოხმა ჯარს ბძანება და ზავნა, რომელშიც აღნიშნავს იანინ აღებას და 100 ზარბაზნის წართმევ იანინი აქამდი მიუდგომლათ ირიცხებ და ახლა მისი ხელში ჩაგდებით დამპყ ბელთა სახელი და დიდება უსაზღვრ გაიზარდაო. ერი აფრთოვანებულია ახ გამარჯვებით და ვამაყობ, რომ ამ ხალხის მეთაური ვარო. გარეშე საქმ სამინისტროში დეპეში მოვიდა—ოსმალ მა საჩქაროთ აღმართეს თეთრი დრო რადგან იცოდენ, რომ ოსმალები სა ნელ შიმშილს განიცდიდენ, აფიც და ჯარის კ.ცებმა საჩქაროთ გად მათ, რაც სურსათი მოეპოვებოდა ბიზანის ყოფილმა კამენდატმა ფაშ დიოდოხს მადლობა გამოუცხადა ებისადმი კარგი მოპყრობისათვის.

ქაირო. ქიამილ-ფაშამ არაბეთის ნალისტებთან ბაასის დროს განაცხად უიონისტების მიზანი მართველობის ხელ ჩაგდება იყო და არა ომის გაგძელ რადგან ქიამილი ადრიანოპოლის ნე რალიზაციას მოითხოვდა, მაშინ რო მახმუდ-შეფქეტ-ფაშამ ნახევარი ადრია პოლი სრულებით დაუთმო მოკავში ებსო.

სტამბოლი. ქიამილის აზრით დიდმა ხელმწიფოებმა მოკავშირეებს სამხედ კონტრიბუციის მოთხოვნა უნდა დაუ ლონ, რათა ოსმალეთის ფინანსიუ მდგომარეობა უკიდურეს კრიზისში ჩავარდესო.

საზღვარგარეთი.

ბელგრადი. გაზეთებმა ვრცელი წერ ბი უძღვნეს რომანოვების გვარეულ 300 წ. იუბილეს დღესასწაულს და დასხვა აზრი გამოსთქვეს რომანოვ დინასტიის მნიშვნელობის შესახებ სლ ვიანებისათვის. გაზ. „პრავდა“ სწე ეს დღე ყველა სლავიანებისათვის დი დღესასწაულია, რადგან რომანოვ მეფობასთან შეერთებულია სლავიან აღორძინება და ჩვენი მონობისაგან გა ვისუფლებაო.

მადრიდი. მეფემ დეპეშით მიულო რუსეთის ხელმწიფეს 300 წლის ბილე.

სოფია. რუსეთის ელჩის ბინაზე მანოვების 300 წლის იუბილეს მილოცვები გაიმართა. გეშოვმა ბულგარეთის ხალხის მაგიერათ მიულ

ცეს აგრეთვე დედოფალმა, მინის-
და დიპლომატიურმა კორპუსმა.
ის ელჩმა სამადლობელ სიტყვაში,
შორის, სთქვა: — რუსეთის ყველა
ი ბალკანეთის სლავიანების მფარ-
ყოო.

ინ. გაზეთების მიერ გავრცელე-
ხმების გამო, თითქოს რუსეთის
ბანგეიშიდან კარლსრუეში მოგზა-
ს დროს დიეტუსალებიოთ, ტყუი-
ამის შესახებ ვოლფის სააგენ-
უწყება: ელჩი მხოლოდ ცოტახან
ს გზაში, რადგან სამოგზაურო
ა შინ დარჩენოდა, თან არ
ო. გარეშე საქმეთა მინისტრი ამ
ნცის გამო რუსეთის ელჩს თანა-
ბას უცხადებს.

ო. სახლვაო უწყებამ უფულობის
თავისი სახლვაო პროექტი შე-
და მხოლოდ რამდენიმე გემის
ა გადაწყვიტა.

ზო. პრეზიდენტმა დეპეშით მოუ-
ხელმწიფეს 300 წ. იუბილეს
ლოცა.

ინ. კალკუტიდან იუწყებიან: და-
მ ხელახლათ დაინიშნა ტიბეტის
ლათ და ჩუმბის ჯარები გაგზავნა
გენერალ ჩანის წინააღმდეგ, რო-
ბრიტანიის ინდოეთის ტერიტო-
გადავიდათ.

მარა. ნაღმის აფეთქებით 60
მოკვდა და 60 დაიჭრა. ზარალი
0 დოლარია.

ზო. სახელმწიფო საბჭოს ვიცე-
ენტი ალფრედ პიკარი გადაიც-

მეტი. პალატამ მესამე კითხვის
საარჩევნო რეფორმის კანონპრო-
ილო.

„ცაიტი“ იუწყება: — მინისტრ
დენტმა ფინანსის მინისტრი, გალი-
ამესტნიკი ბობრჟინსკი და პოლო-
კოლოს პრეზიდენტი ლეო ინა-
და გალიციის საჭირო საკით-
ითათბირეს. მინისტრ-პრეზი-
გაუცხადებია გალიციის დამშე-
ხოვრებთა და სხვადასხვა რეფორ-
ანსახორციელებლათ დიდი ფული
ადაიდვასო,

. რომის პაპი ავათ გახდა.

რუსეთი.

. არენსბურგში ღამით მოკლეს
ს მოიჯარავი ბარონი ნოლკენი და
მა. როგორც ფიქრობენ მკვლე-
შურისძიების ნიადაგზე უნდა იყოს
ი.

რბურგი. საფრანგეთის მინისტრთა
მარემ შემდეგი შინაარსის დეპე-
ზავნა კოკოვცევს: რესპუბლიკის
ბა სიხარულით ეგებება რუსეთის
დღესასწაულს და გთხოვთ ჩვენ
მილოცვა გადასცეთ ხელმწიფეს.
ვცოვმა დეპეშითვე უპასუხა მი-
პრეზიდენტს ბრიანს: სიხარულით
ეი თქვენი მილოცვა. ამასთანავე
ი მაქვს ჩემი ხელმწიფისაგან მე-
ლი გრძნობა გამოვუცხადო სა-
თის ერსო.

ქი მიუხედავათ ცუდი ამინდისა
სწაულოთ არის მორთული და
ვი ხალხი მოძრაობს ქუჩებში.

ბურგის უმაღლეს სასწავლებ-
რომანოვების 300 წლის იუბი-
ღსანიშნავათ ბევრი სტიპენდია

იის სამინისტრო უარყოფს სა-
ქალაქოს გაზეთების მიერ გავრცე-
ხმებს, თითქოს სამინისტროს
მიღოს უმაღლესი მანიფესტის
ლიენის საქმე მოსპეთ და სრუ-
ია დაუნიშნეთო.

. ლიაზოვიჩში, მალოილოტში
ცაში პოლონეთის ფარული შკო-
აღმოაჩინეს. დამნაშავენი პასუხის-
იცეს.

. რომანოვების იუბილეს აღსა-
თათრებმა 50,000 მანეთი შე-
რათა ამ ფულით მაჰმადიანთა
თავშესაფარი ააგონ. თათრებმა
ბით იდღესასწაულეს იუბილე.

ურგი. მინისტრთა თავჯდომარემ
ევმა მხურვალე მილოცვის დეპე-
იღო ხელმწიფის სახელობაზე
თის მინისტრ-პრეზიდენტი პაში-
შავმთიელთა მინისტრ-პრეზი-
რტინოვიჩისაგან. კოკოვცევმა
თითოეულ დეპეშითვე უპასუხათ.
ული ორგანიზაციის სხდომა
დაადგინა ააშენოს რომანო-
300 წლის მეფობის აღსანიშნავათ
ტაძარი.

წერილები ბაქოდან.

დღეს ქართული ენა ყოველი დაწესებულებიდან და ზოგიერთ ჩვენებურ ოჯახებიდანაც კი დევნილია. ერთად-ერთი სარბიელი, სადაც მშობლიური ენას შეუძლია ფრთა გაშალოს და ჩვენც მისი საამო ხმები საჯაროთ მოვისმინეთ — მელპომენის ტაძარი გახლავთ. ამისთვის თეატრს ჩვენთვის საზოგადო დანიშნულების გარდა, განსაკუთრებული მნიშვნელობაც აქვს. ამიტომაც ფრიად სასარგებლო და სასიამოვნო მოვლენათ უნდა ჩაითვალოს ის, რომ ამ ბოლო დროს ჩვენში თეატრისადმი ცხოველი ინტერესი დაიბადა და მისი მოთხოვნილებაც გაიზარდა. ამ ჟამათ ჩვენი ქვეყნის პროვინციებშიაც კი სისტემატიურათ წარმოდგენები იმართება. ჩვენ, რასაკვირველია, იმდენი ხელოვნების ქურუმნი არა გვყავს, რომ ყოველგან — თფილისში, ქუთაისში ბათომში, ბაქოში, ჭიათურაში და ხონში ყველანი ზეგარდმო ნიჭით დაჯილდოვებულნი უნაკლულოთ მოთამაშე მსახიობნი გვატკბობდენ. ხოლო, დღევანდელ პირობებში, რაცა გვაქვს და რითაც ვსარგებლობთ, ისიც დიდი წყალობაა.

ბაქოს წ. კ. გ. ს. გამგეობასთან არსებული დრამატიული სექცია დიდი ხანია რეგულიარულათ წარმოდგენებს მართავს და, მისდა სასახელოთ უნდა ითქვას, მაცადინობას და შრომას არ აკლებს საქმე შეძლებისდაგვარათ რიგიანათ მოაწყოს და სასურველ სიმაღლეზე დააყენოს.

განსაკუთრებით მადლობის ღირსი არიან ის მსახიობნი და სცენის მოყვარენი, რომელნიც სრულიად უანგაროთ და უსასყიდლოთ დაუზარებლათ ეწევიან მძიმე შრომას და მით საშვალებას აძლევენ აქ გადმოხვეწილ ხელმოკლე მშრომელ ქართველებსაც გონივრული გასართობით ისარგებლონ. საანგარიშო სეზონის განმავლობაში დასში მხოლოდ ორი ჯამაგირიანი მომუშავე პირი ყავდათ მოწვეული. ერთი მათგანი ახალგაზდა მსახიობი ქალი ვიქტორელია, რომლის საბენეფისოთ კვირას, 18 თებერვალს, ვ. გუნიას მხიარული კომედია „ალლუმი“ დასდგეს. წარმოდგენას საერთოდ არა უშავდა რა. თავისი როლები რიგიანათ შეასრულეს თვით მობენეფისემ (კნიაჟნა ნუცა), ქ-ნ ანდრონიკაშვილის ასულმა (კნეინა ბაბალე), ა. ახობაძე, (ფილიმონ მსუბუქაშვილი) და ბ-ნმა მელიქიშვილმა (სამხედრო აქიმი). კარგი თ-დი გულბათჯანრიხაძე იყო გ. მატარაძეც, თ-დი პეტრე რაინდაძე — გ. პავლიაშვილი. ბ-ნ ამაშუკელს (ივლიანე ჭარხალაძე) სასცენო მოღვაწეობისათვის საკმაო ნიჭი, უნარი და გამოცთილებაც აქვს. ხოლო, ჩვენის ფიქრით, ამა თუ იმ ტიპის გაპიროვნების დროს მან საჭიროა დაიცვას მეტი ბუნებრიობა, ზომიერება და თან უადგილოთ ყრული კილოთი ლაპარაკს ერიდოს.

ხალხი წარმოდგენას საკმაოთ დაესწრო და მობენეფისემ რამდენიმე ძვირფასი საჩუქარი მიიღო **ფარი.**

ზამთარი.

თოვლის წინწკლებით ფრთებშემოსილი,
განრისხებული, მძლავრი — აფთარი, —
ვითა ნადირი მხრებდაკოდილი
ღმუის, ღრიალობს ქარი საზარი..
ხან მიყუჩდება — ფრთებშეკუმშული,
ხან ხმელ ხის რტოებს სცემს, ეძლება;
ხან ცხარე ბრძოლით ვით დაქანცული,
ხევში ქურდულათ ჩაიმალება!..
თოვლის თეთრ ჩადრს ქვეშ სდუმს, სთვლემს მიდამო,
ცრემლი სევდისა დაუფრქვევია;
ზრახვა მგოსნისა, ზრახვა საამო
ფიქრთა სამთავროს დაუმწყვდევია!..
ვაჰმე დამიჭკნა სიყრმის ყვავილი —
ერთ დროს სიტურფით დაშვენებული;
ცით ზარათ მესმის ყორნის ჩხავილი
ქარის ღმუილთან შეერთებული.
ვხედავ ვერ ვსწვდები წრფელ საწადელსა
სევდები გულსა კვლავ ეძლება —
და ჩრდილოს სუსხით ჩამქრალ კანდელსა
ავსულთა გუნდი ეტრფიალება.
ოჰ, რათ არ ძალმიძს, რომ მშობლის შვილმა
გადავიარო ქარებრ მთაბარი
და ერთ შეტევით მძლავრ ფრთებ გაშლილმა
მივლეწ-მოვლეწო მტერთა საფარი?
თოვლის წინწკლებით ფრთებშემოსილი, —
განრისხებული, მძლავრი — აფთარი;
ვითა ნადირი მხრებდაკოდილი
ღმუის, ღრიალობს ქარი საზარი!..

მ. უზნაძე.

ს. შორაპანი
1913 წ. 14 იანვარი.

პასუხი ბ. ბრ. ცხრუკვეთელს.

(სამრევლო შკოლების შესახებ)

გაზ. „იმერეთის“ ამ წლის მე 35 ნომერში მოთავსებულია ბ. ცხრუკვეთელის წერილი სამრევლო შკოლების მასწავლებლების უნუგეშო მდგომარეობის შესახებ. ვინც საზოგადოთ სამრევლო შკოლების დღევანდელ მდგომარეობას იცნობს, ბ. ცხრუკვეთელის წერილს, ვფიქრობ, გაზვიადებულად ჩასვლის. გარეშე პირს კიდევ მიეტევება ასეთი უმართლო აღწერა სამრევლო შკოლების მდგომარეობისა, როგორც გაუცნობელს, ან და კერძო ინტერესებით შეიარაღებულს შკოლების სახელის დასამცირებლად, მაგრამ, თუ ბ. ცხრუკვეთელი თვით სამრევლო შკოლის მასწავლებელთაგანია, რომელსაც ადრევე სცოდნია ავლა-დიდება სამრევლო შკოლებისა, მას კი არ ეპატიება ხსენებულ შკოლებზე ასეთი ცრუ შეხედულების გავრცელება ხალხში.

ბ. ცხრუკვეთელი გვიხატავს სამრევლო შკოლების მასწავლებლებს (ნეტავი ყველას?!) დაფლეთილ-დაწეწვილ ტანისამოსში, ცხვირჩამოვარდნილ ქუდში, ქუსლ მორღვეულ-მოგლეჯილ წაღებში, მშიერი კუჭით, რომელსაც ხანდახან ღვდელი თუ გამოძღებს ხოლმე „საკურთხით“. სამრევლო შკოლის მასწავლებლის სოფლის მოხელე, ანუ მუშაზე დაბლა დაყენება შემცთარი აზრია, რადგან ვერცერთი სოფლის მუშა ვერ აიღებს თვეში 25-30 მანეთამდი. 1910 წლიდან იმერეთის საეპარქიო სამოსწავლო საბჭო ყოველ წლიურათ ღებულობს შკოლების შესანახათ 72,065 მანეთს, რომელიც განაწილებულია ასე: 95 შკოლის მასწავლებელი წლიურათ ღებულობს 360 მანეთს თვითეული, 91 შკოლისა — 150 მანეთიდან 300 მანეთამდი, ხოლო დანარჩენი 51, ეგრეწოდებული „წერა-კითხვის შკოლა,“ უწმიდესი სინოდის გადწყვეტილებით — ასოც მანეთს. უმრავლესობა მასწავლებლობისა ან თავ-თავის სამშობლო სოფელშია მასწავლებლათ ან და თვით შკოლის შენობაში ცხოვრობს, სადაც დათმობილი აქვთ ბინა — გათბობით. სამრევლო შკოლების მასწავლებლების მდგომარეობა დღეს თითქმის თანდათან უმჯობესდება, და არც იმდენათ დაბეჩავებულნი არიან, როგორც აწერილია ბ. ცხრუკვეთელის წერილში.

მართალია, ოციოდე „წერა-კითხვის“ შკოლა ეპარქიაში არის გახსნილი საზოგადოების თხოვნისამებრ და დარჩენილი უჯამაგიროთ სამოსწავლო საბჭოს დამოუკიდებელ მიზეზების გამო, მაგრამ ეს გარემოება საბჭოს არ ჩაეთვლება დანაშაულობათ, რადგანაც თვით მასწავლებლები ადგილობრივ მღვდლებთან შეთანხმებით დიდი სიამოვნებით კისრულობენ ასეთ შკოლებში სხვადასხვა შეღავათებისათვის უჯამაგიროდ მასწავლებლობას, ვიდრე შკოლა სავსებით გამოეწყობა და მთავრობისაგან კრედიტი გაეხსნება.

კანონის ძალით ყოველივე მრევლის ღვდელს აქვს ნება გახსნას „წერა-კითხვის“ შკოლა და მიიწვიოს მასწავლებელი; საეპარქიო საბჭო კი მხოლოდ შუამდგომლობს ადგილობითი სასულიერო მთავრობის წინაშე, რათა ეგე თუ იგი მასწავლებელი დამტკიცდეს; ასეთი შკოლების მასწავლებლებს, რომლებიც თავისივე სურვილით და გადაჭარბებული თხოვნით ხელს კიდებენ მასწავლებლობას, საბჭო უსახსრობისა გამო ჯამაგირს ვერ უნიშნავს, ვიდრე ამ გვარი ახალი ხარისხის შკოლები არ გადაკეთდება სამგანყოფილებიან ერთ-კლასიან შკოლებათ. მაშ თუ ასეა და ზოგი მასწავლებელი თანხმდება იმსახუროს უჯამაგიროთ ახალი დამატებითი კრედიტის გამოსვლამდი და თუ დროზე არ მოუსწრო ახალმა კრედიტმა, რის გამო ის „იტანჯება და წვალობს შიმშილ-სიცივით“, — საკუთარი მისი დანაშაულობაა და არა საბჭოს მიერ ძალდატანებით გამოწვეული.

სამოსწავლო-საბჭო არავის ძალას არ ატანს და არც დაუვალებია ვისმესათვის უჯამაგირო სამსახური, მით უმეტეს, რომ ადგილობითი მღვდელმთავარი და საბჭოს არაოდეს არ თანაუგრძნობდა უჯამაგირო მასწავლებლის განწესებას, რადგან უსასყიდლო მუშაკისაგან სასურველნაყოფს არავინ არ უნდა მოელოდეს; საბჭო ხელმძღვანელობდა და შემდეგშიაც განაგრძობს ხელმძღვანელობას იმ დაკანონებისა და მოწერილობების ძალით, რომლებითაც საბჭოს აღკრძალული აქვს გაამრავლოს ისეთი ახალი შკოლები, რომელთა მასწავლებლებს ჯამაგირი არ ექმნება დანიშნული.

რაც შეეხება ბ. ცხრუკვეთელის მიერ წარმოყენებულ სამს კითხვას, ორის პასუხი უკვე ზევით იყო, განმარტებული, ხოლო მესამეზე აი, რა უნდა ვუთხრა: სამრევლო შკოლების მართვა-გამგეობაში არა ოდეს არ ჰქონია ადგილი პოლიციური ზომების ხმარებას და არც შემდეგში ექნება, რადგანაც მას კარგათ ეს მის ამგვარი ზომების შეუფერებლობა. სოფელი ვალდებული არ არის და არც საბჭოსაგან ევალება მას ძალდატანებით არჩინონ ის მასწავლებელნი, რომლებიც თავის ნებით და ხელწერილის ქვეშ არიან წასულნი „წერა-კითხვის“ შკოლებში მასწავლებლათ — ნება მათია; როგორც სურთ, ისე იცხოვრონ — თუ კმაყოფილნი არ არიან თავისი მდგომარეობისა, შეუძლიათ სხვა რაიმე საცხოვრებელი წყარო გამოინახონ და განაგრძონ უმჯობესი ცხოვრება....

მაგრამ არ შემიძლია, არ აღვნიშნო სამწუხარო ფაქტები, გადმოცემული ეპარქიის მეთვალყურისაგან, რომელიც, მიუხედავათ იმისა, რომ რუსია, უკმაყოფილო რჩება ჩვენს მასწავლებლებზე, იმით, რომ ქართული წერა-კითხვის სწავლაზე ბევრს მასწავლებლებთაგანს ჯეროვანი ყურადღება არა აქვთ მიქცეული. როგორც ეპარქიის მეთვალყურე გადმოგვცემს, ზოგ შკოლაში მოსწავლეებმა წერა-კითხვა შესაფერათ არ იციან სამშობლო ენაზე; ვითომ და, მასწავლებლების ფიქრით, მეთვალყურე რუსია, ქართული არ იცის და ვერც დედა-ენის სწავლების ავ-კარგიანობას გაიგებს შკოლაშიო.

ამ სამწუხარო ფაკტების შემდეგ, რომელსაც აღნიშნავს სხვა ტომის კაცი, განა ისეთნი მასწავლებელნი, რომ კიდევაც საშვალება იყოს, არიან ღირსნი შებრალებისა და ხელის შეწყობისა?!! განა ჩვენ ამის შემდეგ შეგვიძლია სხვას უსაყვედუროთ, როცა ჩვენი ენის გავრცელებას წინ ეღობებიან. რომ ქართული ენის სწავლება კარგ ნიადაგზე არ არის დამდგარი სამრევლო შკოლებში ზოგიერთა მასწავლებელთაგან, თუმცა ბ. ცხრუკვეთელი ჩემსას არ დაიჯერებს, თავის გულის დასარწმუნებლათ შეუძლია მიმართოს თვით ეპარქიის მეთვალყურეს და ის დაუხატავს მას ცხად სურათს, რომელიც, მე დარწმუნებული ვარ, თვით ბ. ცხრუკვეთელს სამწუხარო ფიქრებს მოგვრის.

იმერეთის ეპარქიის სამოსწავლო
რჩევის თავჯდომარე, დეკ. **ი. ჭეიშვილი.**
14 თებერ. 1913 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წერილი რედაქციის მიმართ.

ბ. რედაქტორო!

გთხოვთ, თქვენს პატივცემულ გაზეთში ადგილი დაუთმოთ ამ წერილს.

1911 წელს სეკტემბერში გიმნაზიის ყოფილი ჩემი ამხანაგების „ერთმა ჯგუფმა“ საზოგადოებაში ხმა გაავრცელა, რომლითაც მაბრალებდენ კლასიკურ გიმნაზიაში ყოფნის დროს გიმნაზიის მთავრობასთან ჯაშუშობას. როდესაც ეს ხმები გაავრცელეს, უკვე ხარკოვის უნივერსიტეტის პირველი კურსის სტუდენტი ვიყავი. ეს ხმები სხვადასხვა საშვალებით ხსენებულმა „ჯგუფმა“ რუსეთის ყველა საუნივერსიტეტო ქალაქებს მოფინა, რომ ამით საზიზღარი სახელით მონათლული, გავეცვნე მთელ რუსეთის სტუდენტობისთვის და ყოველგვარ ადამიანურ ღირსებააღდილი, გამცემი, ყოველგვარ საამხანაგო წრეში საეჭვო და საშიში დარჩენილიყავი.

ასეთ ზომას მიმართეს იმათ, ვინც სრულიად უსამართლოთ სამარცხვინო ბოძზე გაკვრა დამიპირეს, იმ ბოძზე, სადაც მოქალაქობრივი სიკვდილი აწერია. ხსენებულმა „ჯგუფმა“ პირად ინტერესებზე ააშენა ეს საშინელი ბრალდება, რომელშიც მე სრულიად უდანაშაულო ვიყავი. პირადი განხეთქილება, რომელიც ჩვენ შორის იყო გიმნაზიაში ყოფნის დროს, საფუძვლათ დაედვა იმ ყოვლათ, უმართებულო, საშინელ საბრალმდებლო ოქმს, სამარე უნდა გაეთხარათ ჩემი პოლიტიკური და მოქალაქობრივი სიცოცხლისთვის.

მივმართე ხარკოვში არსებულ ქართველ სტუდენტთა სათვისტომოს გამგეობას, რომ ეკისრა და გამოერკვია საქმის ვითარება, აღედგინა ჩემი გათელილი ადამიანური ღირსება, ჩამოეცილებია ეს საშინელი ბრალდება და სათვისტომოს წევრათ მიეღე... სათვისტომოს გამგეობამ არ დააკმაყოფილა ჩემი თხოვნა; ვერ იკისრა საქმის გამორკვევის ინიციატივა და სათვისტომოს წევრათ მიღებაზეც უარი გამომიცხადა. მაშინდელმა გამგეობამ მითხრა: უფლება არა გვაქვს ვიკისროთ შენი საქმის გამორკვევა, რადგანაც ეს ჩვენ არ გვეხება და კიდეც რომ მივიღოთ შენი საქმის გამორკვევა ამ მხრით ჩვენი ცდა უნაყოფოთ ჩაიარსო; რადგან ისინი, ვისაც შენ ბრალმდებლებათ სცნობ ამ საქმეში სხვადასხვა საუნივერსიტეტო ქალაქებში იმყოფებიან, გარდა ორი სამი პირისა, ამიტომ შეგიძლია ზაფხულში, როდესაც შენი ბრალმდებლები სხვადასხვა საუნივერსიტეტო ქალაქებიდან დაბრუნდებიან, საამხანაგო სასამართლოს საშვალებით გამოარკვიო შენი საქმე, აღადგინო შენი სიმართლე და შემდეგ, რასაკვირველია, უფლება გექნება ჩვენი სათვისტომოს წევრი გახდეო. ჩემმა სხვა გზით ცდამ საქმის გამოკვლევის და გათელილი სიმართლის აღსადგენათ, სრულიად უნაყოფოთ ჩაიარა, რადგანაც თვით ისინიც (ჩემი ბრალმდებელთაგანნი), ვინც ხარკოვში იმყოფებოდენ საამხანაგო სამართალში არ გამომყვენ, სრულიათ უარი განაცხადეს, — ჩვენ მაგ საქმის არაფერი ვიცითო. წასრულ ზაფხულში ათასგვარ საშვალებას მივმართე, რამდენჯერმე მიეცი წინადადება საამხანაგო სამართალში გამომყოლოდენ ეს ვაჟბატონები და დაემტკიცებიათ ჩემთვის, თუ რა იყო ჩემი დანაშაული, მაგრამ ისინი ყოველთვის განგებ გაურბოდენ ამას. ასე რომ ამ გზით ჩემი გათელილი სიმართლის აღდგენა ყოვლად შეუძლებელი შეიქნა.

წელს ისევ სათვისტომოს გამგეობას მივმართე. ახლანდელმა გამგეობამ იკისრა ამ საქმის გამორკვევა და შემდეგს საშვალებას მიმართა: აცნობა ჩემ ბრალმდებლებს (სიტყვიერათ იმ პირებს, ვინც ხარკოვში იმყოფებიან და წერილობით იმათ, ვინც სხვა საუნივერსიტეტო ქალაქებში იმყოფებიან), რომ მიეწოდებიათ მისთვის, (გამგეობისთვის) თუ კი რაიმე საბრალმდებლო საბუთი ქონდათ ჩემს წინააღმდეგ. ვინც ხარკოვში იმყოფებიან, შემდეგი განაცხადეს: ჩვენ არაფერი არ ვიცითო ევგენი დევიძის შესახებ, ვიცნობდით გიმნაზიაში, როგორც კარგს ამხანაგს და არავითარი საბრალმდებლო საბუთები არა გვაქვს მაგის წინააღმდეგო. ხოლო იმ პირებისგან, ვისაც გამგეობამ წერილებით მიმართა ვერაფერი პასუხი ვერ მიიღო თითქმის ორი თვის განმავლობაში.

ბოლოს სათვისტომოს გამგეობამ სამი თებერვლის სხდომაზე იქონია მსჯელობა ჩემი საქმის შესახებ და შემდეგი რეზოლიუცია დაადგინა:

სათვისტომოს გამგეობის რეზოლიუცია:

სავაჭრო სახლი გოკიელოვი შვ-ბი ქუთაისში.

ხ. ხრისტადულიდის

ერთად ერთი წარმომადგენელი მთელ ამიერ-კავკასიაში ჩვენში კარგათ ცნობილი [illegible]
აბრეშუმის თესლის
(რომელსაც ჩვენში წინათ წერეთლის თესლს ეძახდენ). ამით აუწყებს მეაბრეშუმე[illegible]
თესლით მოვაჭრეებს, რომ პარტიობით თესლის დამკვეთ [illegible]
არა ნაკლებ ერთი ყუთისა ანუ 200 ექს მისხლიან [illegible]
დის—1 მ. 14 შ., 15 მარტამდი—1 მ. 4 აბაზათ, 1 აპრილამდი—1 18 შ. ხრისტადულიდის თესლის ღირსებამ გასულ წელს ზოგიერთ ვაჭბატონებს მადა გაუღვიძა და [illegible]
გაზეთები ,,ზაკავკ. რ.'', ,,სახ. გაზ.'', ,,ბათ. სიმართლე'' და სხვ.) ხრისტადულიდის ფირმის ყალბი ეტიკეტების კეთებას შეეცადენ. შესაძლოა ზემო-ღნიშნული ბოროტ[illegible]
ნის დროს სიყალბის ასაცდენათ დიდი ყურადღება მიაქციეთ ჩვენი ფირმის „იარლიკს“ და ,,შტემპელს'', აგრეთვე შეეცადეთ თესლი საიმედო პირთაგან შეიძინოთ.

„გამგეობამ იქონია მსჯელობა ამხ. დევიძის საქმის თაობაზე და გამოიტანა შემდეგი დადგენილება: თუმცა მიმართა სათვისტომოს გამგეობამ პირადათ და წერილობით იმ პირებს, ვისაც შეეძლო რამე ამხ. დევიძის საწინააღმდეგო საბუთის წარმოდგენა, მაგრამ ვერ მიიღო ეს საბუთები და ამისთვის დაადგინა:—მოხსნას მას ყოველივე ბრალდება და გამოუცხადოს, რომ სათვისტომოს გამგეობა ღებულობს მას სათვისტომოს სწორუფლებიან მწევრათ.

სათვისტომოს გამგ. ოქმთან სწორია.
3 თებ. 1913 წ.*)

მდივანი დათ. ხხეიძე.

P. S. ვთხოვ ადგილობრივმა სხვა ქართულ-რუსულმა გაზეთებმა გადაბეჭდონ ეს წერილი.

ე. დევიძე.

ზემო იმერეთი.

სოფ. პერევისა. სამწუხაროა მკითხველო, პერევისის მცხოვრებლების მდგომარეობა.

მდგომარეობა რომ ვახსენე, არავის ეგონოს, რომ პერევისის მცხოვრებლების მდგომარეობა ეკონომიურის მხრით იყოს სამწუხარო და უნუგეშო. არა და ათასჯერ არა!

იგინი ამ მხრით ზემო-იმერეთის სხვა მცხოვრებთ ბევრათ წინ გაუსწრებენ; განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც შავიქვის მადნები ჭიათურის სხვილ მრეწველებს მიყიდეს.

პერევისის მცხოვრებლების თითქმის ნახევარი ნაწილი დღეს ფულიანი ხალხია. არიან მისთანებიც, რომელთაც ოთხმოც-ასი-ათასი მანეთსაც აკრეს ხელი:

ათი-ხუთი ათასი რომ ბანკში ქონდეს, აქ მისთანას ხომ ფულიანს არ უძახიან! დანამდვილებით შეგვიძლია ვსთქვათ, რომ პერევისის მცხოვრებლების, ნახევარზე მეტი მატერიალურის მხრით უზრუნველყოფილია და ზოგს მეტიც აქვს, რისი შედეგიც ჭიათურის სამიკიტნო და საყავახანო დუქნების პატრონების დასუქებაა.

ხოლო მე თუ „სამწუხარო“ და უნუგეშო მდგომარეობა ვახსენე, ეს მხოლოდ კულტურული დაწესებულების უქონლობას შეეხებოდა. იმ დაწესებულებებს, რომელთაც ევროპიულათ განათლებული ხალხი პირველ მოთხოვნილებათ სთვლის, რადგან ღრმათ დარწმუნებულია, რომ თუ ერს სურს პროგრესისაკენ გზა გაიკვლიოს,—უსათუოდ კულტურულ დაწესებულებათა გამრავლებას ხელი უნდა შეუწყოს.

განსვენებულმა პედაგოგმა იაკობ გოგებაშვილმა ერთ თავის წერილში (იხ. იაკ. გოგ. პედაგ. დ. პუბლ. ნაწერებ. ტ. 1. გვ. 19.) სთქვა: ერი, რომელსაც წინ არ მიუძღვის და არ უკაფავს პროგრესის გზას რაზმი მძლავრისა და მრავალი ინტელიგენციისა, ადრე თუ გვიან წააგებს საარსო ბრძოლას და დაკარგავს თავის ადგილს ერთა შორის“.

ესევე შეიძლება ითქვას სოფელზეც. სოფელი, რომელსაც წინ არ მიუძღვის რაზმი მძლავრი ინტელიგენციისა, წააგებს საარსო ბრძოლას და დაკარგავს თავის ადგილს სოფელთა შორის.

ახლა ვიკითხოთ, სოფ. პერევისაში არის ინტელიგენცია თუ არა? იმდენი, მკითხველო, რაიდენსაც ზემო იმერეთის ვერც ერთ სოფელში ვერ შეხვდები: მსაჯულები, ვექილები, სტუდენტები, მასწავლებლები, მოსწავლე ახალგაზდობა, საშუალო და დაბალი სასწავლებლებისა, მაგრამ ამისთანა „ფორმალური“ ინტელიგენცია ნურმც ყოფილა!

და ისინი რომ ფორმალური ინტელიგენტები არიან, ამას შემდეგიდან ცხადათ დაინახავთ: ამ სოფლის მცხოვრებლების ნახევარი და მგონი მეტიც აზნაურობაა. ამხელა სოფელში, გარდა ერთკლასიანი, სამინისტრო სასწავლებლისა არავითარი კულტურული დაწესებულება არ არსებობს.

თუ კი შეიძლება ამ სასწავლებელს სამინისტრო ვუწოდოთ, რადგან მასწავლებლის ჯამაგირს ხალხი იხდის და შკოლის სხვა ხარჯსაც ის კისრულობს. მერე იცით, როდის დაარსებულა ეს სასწავლებელი? 35—40 წლის წინათ. ე. ი. 1873—78 წლებში მას შემდეგ მგონი, მეორე დგმაა აგერ—და აქაურ ინტელიგენციას ისიც ვერ მოუხერხებია, რომ ერთკლასიანი შკოლა ორკლასიანათ გადაეკეთებია, თხოვნა აღეძრა, სადაც ჯერ არს, რომ მასწავლებელს ჯამაგირი ხაზინიდან დანიშნოდა: ინტელიგენციის ამაზე მეტი მცონარეობა შეიძლება კიდევ?

ზაფხულში მოვლენ და დილიდან საღამომდი გრილოში გორაობენ ზანტათ და ერთსაც თავში აზრათ არ მოსვლია, (თუ მოსვლია—პაპიროზის ბოლისთვის გაუყოლებია) მოდი სამკითხველოზე ვიზრუნოთ, დავაარსოთ, ჩვენც გამოგვადგება, ხალხს სიკეთეს ვუზამთ, ან კიდევ ვეცადოთ შემნახველ-გამსესხებელი საზოგადოება დავაარსოთ, ხალხს ხელი მოუმართოთ და სხვა. ახლა ვიკითხოთ რა მდგომარეობაშია აქაური შკოლა, რომელიც შუაკაცობას გადაკილებულია?

ღმერთმა ამისთანა მდგომარეობაში ნურმც სამრევლო შკოლა ქნას!

ამ შკოლის მზრუნველათ ბ. კ. წერეთელი ბძანდება, რომელმაც, მერწმუნეთ, ისიც არ იცის, რამდენი ბავში სწავლობს ამ შკოლაში. აი, რა მიამბო ერთმა იქაურმა კაცმა ამ „მართლა შკოლისთვის თავდადებულ მზრუნველზე“:

წელიწადი ისე გავა, შკოლის ამბავს არ იკითხავს; თუ მთავრობამ მასწავლებელს მოაკითხა, როგორი მფარველობას გიწევთ მზრუნველიო, ეს უკანასკნელი გიბულობს რა ამ ამბავს თვით მასწავლებლისაგან, ასე არიგებს: მისწერე ინსპექტორს, რომ გუშინწინ იყო აქ და შეძლებისადაგვარათ ხელი შემიწყოთქო. მასწავლებელიც, (თუ კი ამნაირია ეს კაცი არ ვიცი როგორი მასწავლებელია, თუმცა საყურადღებო ფაქტები ვიცით მისი „საქმენი საგმირონი). ეთანხმება და ინსპექტორთან გაგზავნილ „ლაპორტში“ მზრუნველს მადლობით, ქებით, იხსენიებს და კვლავაც ღმერთს სთხოვს, რომ ამისთანა მზრუნველი ნუ მოაკლოს ნურც ერთის შკოლასო!..

ეს გასაკვირალიც არ არის, რადგან ნათქვამია: „როგორიც ერი, მისთანა ბერი“. აი, ასეთ მდგომარეობაშია დღეს სოფ. პერევისა.

პერევისელო ინტელიგენტებო! თუ თქვენ ამ სახელს ღირსეულათ ატარებთ, თუ თქვენი „მე“ პირადი ნული არ არის, თუ თქვენი ეგოიზმი ვიწრო ჰორიზონტით არ არის შემოვლებული, რომელშიც ჯერ კიდევ არ გათქვეფილხართ,—უკუაგდეთ დაუდევრობა, თვალებს განგებ ნუ იბრმავებთ, მიმოიხედეთ, რა ხდება თქვენს გარშემო სოფლებში, და თქვენც მათ მიბაძეთ.

დააარსეთ სამკითხველო,

დააარსეთ შემნახველ-გამსესხებელი საზოგადოება!

საძირკველი ჩაუდგით კოოპერატიულს დუქანს! შეძლებაც ხელს გიწყობთ და ცოდნაც! მაშ, მოკიდეთ საქმეს ხელი.

გრ. წერეთელი.

---

*) ქაღალდს ხარკოვ. ქართ. სათვისტომ. გამგეობის ბეჭედი აკრავს.

რედაქტორ გამომცემელი
ვ. ი. შელიძე

Пріѣхавшій изъ Екатеринбурга
молодой человѣкъ, желаетъ получить мѣсто писца или переписчика на пишущей мащинѣ.
Адресъ: Балахванская ул.. д. № 116 Куталадзе.

Каждый долженъ
Пріобрѣсти посмертныя художественныя произведенія геніальнаго писателя
Графа Л. Н. Толстого
ТРИ БОЛЬШИХЪ
тома получай только за 2 руб. наложен. платеж. на 25 коп. дороже.
Склад изданія Т-во ,,ОБОРОТЪ“
Варшава Маршалковская 62 отд.

40 ДНЕЙ
БЕЗПЛАТНО!
4 0 Д Н Е Й
Если вы въ теченіе 40 дней не выучитесь свободно говорить, читать и писать по нѣмецки, французски и латински по нашимъ самоучителямъ составленнымъ по новѣйшему методу [все другіе—реклама] деньги возвращаемъ обратно. Цѣна самоут. одного языка съ пересылкой наложеннымъ платежомъ 1 р. 10 к. 2-хъ —1 р. 90 к. 3-хъ—2 р. 80 к. 4-хъ— 3 р. 15 к. Заказы исполняются един. складомъ для всей Россіи. С.-Петербургъ Петерб. сторона Большой пр. 56—583. 2129 Я. К. ПЕТЕРСЪ.
БЕЗПЛАТНО
40 ДНЕЙ

1-е ЗАОЧНЫЕ КУЛИНАРНЫЕ КУРСЫ.
Полный курсъ лекцій для самообученія „скоромный и постный столъ“, около 1000 рецептевъ кушаніи, напитковъ, печенья, компотовъ, вареній, сладкихъ блюдъ, пироговъ и др. 300 стр. убористаго шрифта. Цѣна съ перес. нал. плат. 2 р. 60 к. НАСТАВЛЕНІЕ, какъ правиль. но вести домашнее хозяйство и приготовлять экономическіе вкусные и питательные обѣда съ приложеніемъ разрѣзки мяса и украшеніемъ стола и блюдъ, около 100 стр. съ рисунками. Цѣна 1 р. 20 к. Обѣ книги вмѣстѣ 3 р. 35 к. (можно марками) Съ заказами обращаться исключительно къ Я. К. ПЕТЕРСУ. С.-Петербургъ Пет. стор. Большой просп. № 56 —255.—584.

ПО УДЕШЕВЛЕННОЙ ЦѢНѢ!
ВРЕМЕННО РАСПРОДАЕТСЯ
Вмѣсто 10 р. за 7 р. 50 к.; въ роскошномъ золотомъ тисненномъ переплетѣ 10 р.
15 ТОМОВЪ полнаго сбоpанія
около 5,000 страницъ большого формата
СОЧИНЕНІЙ
ГЮИ де-МОПАССАНА
Имя Гюи де-Мопассана гремитъ славою не только среди соотечественниковъ. но и среди всего міра. Достаточно указать на отзывы И. С. Тургенева и Льва Толстого, чтобы судить о томъ высокомъ положеніи. кокое Гюи де-Мопасанъ занялъ въ исторіи всемірной литературы. Памятиикъ воздвигнутый ему въ Парижѣ краснорѣчиво говоритъ о симпатіяхъ французской націи. Его произведенія разошлись разновременно болѣе 300 изданій въ сотняхъ тысячъ экземплярахъ и переведены на языки всѣхъ народовъ. Сочинонія его особенно большой интересъ представляютъ теперь, когда такъ много говорятъ О ПОЛОВЫХЪ ОТНОШЕНЯХЪ МУЖЧИНЪ и ЖЕНЩИНЪ. Въ его романахъ читатель найдетъ разрѣшеніе этого вопроса въ изображеніи правдивой дѣйствительности. Книги высылаются наложеннымъ платежнмъ; пересылка за счетъ покупателя по почтовому тарифу, упаковка безплатно.
Задатокъ въ размѣрѣ 2 р. 50 к. прошу выслать, можно марками почтовыми или гербовыми, безъ чего заказы не вѣполняются.
Единственный складъ для всей РоСсіи: С.-Петербургъ, Петерб. Сторона, Большой пр., 5—61. Я. К. ПЕТЕРСЪ.

ЯЗЫКИ: Французскій, Нѣмецкій. Англійскій, Латинс
каждый безусловно имѣетъ возможность основательно изуч
(правильный разговоръ, чтеніе и письмо).
БЕЗЪ ПОМОЩИ ПРЕПОДАВАТЕЛЯ
Въ 2—3 мѣс. и даже скорѣе (зависитъ отъ усердія и способности) по нашим
вѣйшимъ методамъ и самоучителямъ. Успехъ гарантируемъ возвратомъ денегъ до
мѣсяцевъ. Тысячи лицъ разныхъ слоевъ общества прислали намъ
благодарности и похвальн. отзывы.
ВЫСЫЛАЕМЪ НАЛОЖЕННЫМЪ ПЛАТЕЖЕМЪ.
Цѣна одного самоучителя 1 р. 10 к., 2-хъ 2 р., 3-хъ 2 р. 80 к., 4-хъ 3 р.
съ пересылкой.
Складъ изданіи Т-во „Оборотъ“ Варшава Маршаловская 62 отд.

Теперь вы можете имѣть
дѣйствительно полный, подробный и точный
лизъ характера, опредѣленіе прошлаго, насто
го и будущаго.
не за 6 рублей, а только за 1 рубль
ПОЗНАЙТЕ СЕБЯ!
ПОЗНАЙТЕ ДРУГИХ
Пришлите почеркъ свой или интересующей Васъ личности, сообщите при
Имя годъ, мѣсяцъ и число рожденія, изъ скольких душъ состоитъ личная
писавшаго,—по этимъ даннымъ Вы получите отъ меня, Психо Графолога
ЩИЛЛЕРЪ-ШКОЛЬНИКА (автора научныхъ трудовъ), заказнымъ письмомъ., стр
учный, полный, точный и подробный анализъ характера опредѣленіе прошла
стоящаго и будущаго, съ указаніемъ важныхъ событій въ жизни. Вѣрные отв
всѣ предложенные вопросы. Цѣнные совѣты и предупрежденія, Анализъ при
неоцѣнимо-моральную пользу, что потверждается множествомъ лестныхъ от
и благо дарностей.
Анализъ высылается за 1 р. наложеннымъ плат. на 30 коп. дороже. А
болѣе детальный, съ подробнымъ гороскопомъ, составляемымъ знаменитымъ
момъ Миссъ-Хассэ, съ указаніями, какъ жить? что дѣлать? высылается за тр
ля, наложеннымъ плат. на 30 коп. дороже.
Я производилъ овои научные анализы знатнѣйшимъ и Высокопоставле
особамъ, Князямъ, Графамъ, Баронамъ, Генераламъ, Ученнымъ, Профессорамъ
чамъ, Педагогамъ, Духовенству и Купцамъ и удостоился получить множество
ныхъ отзывовъ и благодарностей.
О моей спеціальности по Френо-Графологіи и моихъ произведеніяхъ нео
ратно публиковалось во всѣхъ извѣстныхъ органахъ, журналахъ и газетахъ
пы, Имѣется множество лестныхъ отзывовъ печати.
Деньги переводомъ или марки только въ заказномъ, темномъ, хорошо з
танномъ конвертѣ. Налож. на 30 коп. дороже.
Адресъ: Психо-Френологу Х. М. Шиллеръ-Школьнику, Варшава. Пенная № 25 –
Брошюра съ множествомъ отзывовъ и благодарностей отъ высокопостовлен.
множество прилагается при всякомъ заказѣ.

SYSTEM
VERMOREL
CARL PLATZ
LUDWIGSHAFEN

ვაჭრების საყურადღებოთ
ნ. ს. ტერპის მაღაზია
ქუთაისში.
ამით აცხადებს,
რომ მაღაზიაში დღეიდან არის დიდი ს
ყობი და იყიდება ვენახის სარწყავი
ვერმორელის სისტემის მან
ქანები და მისი ნაწილებ
დიდი მოთხოვნილების გამო მსურველთ შეუძლიათ მიმა
აქიდანვე, რათა დროზე შეიძლებოდეს მანქანების მიწოდ
მანქანის ნიმუშის დათვალიერება შეიძლება ყოველთვის მაღაზ
ქარვასლის ქუჩაზე გველესიანის შენობაში.

გ. გორდამის და ს. წერეთლი
ერთად ერთი წარმომადგენელნი ქუთაისის გუბერნიაში, ბათომის
სოხუმის ოლქში უმაღლესი სასახლის გოფმეისტერის,
სტეფანეს მის ნერავ-მალცევის ბემსკის მინების ქარხნისა, მია
განსაკუთრებული ყურადღება მინის ყუთზე ნიშანს „Бемское“
რკინეულობის მაღაზიაში იყიდება:
საუკეთესო
ქარხნებისაგან
მიღებული რკინეული
საქონელი: კარის, ფანჯრის
და ღუმელის მოწყობილობანი;
სადურგლო ხელსაწყობი, ფანჯრის
მინები, რკინის ნიჩბები, ლურსმანი, მავთული, ყოველგვარი საღებავი წამალი,
ელექტრონის ზარის მოწყობილობანი, შპალიერი,
ცემენტი, ემალიანი ჭურჭლები, ასფალტი, და სხ.
ვაჭრობა პარტიით და წვრილათ ხელმოსაწდომ ფასათ.
ქ. ქუთაისში, საკუთარ შენობაში, მიხაელის ქუჩაზე № 65.

ელექტრო-საბეჭდავი შრომისა და ქარხანუხოვის, ქუთაისში.